# დაპირებების, ახალი მარათონის მოლოდინში ჩამოვიძონძეთ...

საზოგადოებას დღემდე არ მობეზრებია ერთფეროვანი დამღლელი მძაფრსიუჟეტიანი ფილმების ყურება, ახალგაზრდობას კი მათი ნახვა მოთხოვნილებად ექცა. მგონი დროთა განმავლობაში ამერიკელებს შემოაკლდებათ სცენარები დეტექტივებისათვის და ისინი ჩვენს ქვეყანაში გადმოინაცვლებენ. ჩვენი უწინდელი პარლამენტი, უშიშროება, შ. ს. ს. და ამჟამინდელი მთავრობის მოღვაწეობა, ყველაფერი გამოდგებოდა საუკეთესო ფილმების შესაქმნელად. მე მგონი, უბრალოდ, ქართველებს გვიყვარს უცხოური ეტიკეტებით დამშვენებული თორემ, ქართველ „ბოევიკებთან" და ქართულ „მაფიასთან" ვინ მივა. სულ საკუთარს რომ ებრძვიან, ანადგურებენ და გარეთ ყველანი მადლიერნი ჰყავთ, ესეც ჩვენი ნატურაში არსებული ბოევიკების ღირსებაა, ასეთ პირობებს მოქმედებისას სხვაც ბევრი ინატრებდა, მაგრამ საზღვარგარეთ ეტყობა რომელიღაც ორგანოები არ იძლევიან თავისუფალი მოქმედების საშუალებას, ჩვენთან კი დემოკრატია „უმაღლეს" დონეზეა. და ბოევიკები კი ჩინოვნიკების მუნდირებში - უმაღლეს ეშელონებში.

ნიჭიერი ხალხი ბლომადაა ჩვენში, რომელიც მაფიისათვის, გადატრიალებებისათვის სხვა ბევრ ქვეყანასაც უზრდის ჯილდოებს, საქმოსნებს, რეკეტს, ხელოვნების მუშაკებს, სპორტსმენებს, თუ ვინმემ საზღვარგარეთ გაქრა მოახერხა, მოკლედ ცა ლხენა, თავს დაიმშვენებს. მას მარტო ქართველობაც ჰყოფნის ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. საქართველოშია ძნელი საზოგადოების ხელში აყვანა, თორემ სხვაგან ეს სულ არ ჭირს, ამის დასტურია შევარდნაძის მსოფლიო ასპარეზზე გარბენა, ქართველები კი ნისი ახალი მარათონის მოლოდინში, ჩამოვყვდით, ჩამოვიძონძეთ...

ხელისუფლებას სასიკეთო არაფერი ეტყობა. ნაწილი ყრუ-მუნჯებს უფრო გავანან, ხოლო ნაწილი ენაგატლეკილ ქალებს, რომლებიც მხოლოდ სიტყვით იღებენ რევანშს და საქმე კი პირადულზე აქვთ გაანგარიშებული. ამიტომ ესენი ვერ შეძლებენ ახლეჩილი და გაგლეჯილი ერის გამთლიანებას - გაერთიანებას.

მართალია საქართველო დაჭრილია, სისხლი სდის, ფეხზე ვერ დგება, მაგრამ ყველა თაყაიშვილი როდი გაქცეულა, არიან პატიოსანი, პატრიოტი ქართველები, რომელთაც ერი უყვარს და ალბათ მალე იტყვიან კიდეც თავის სათქმელს. დღეს კი რიგორც სჭირდება და ახერხებს ისე აბრუნებს მმართველობის საქმეს, მაგრამ ერი აღარ ტყუვდება და უტევს წინათ ვინც მილიონობით კრედიტი გაიტანა, ვინც სახაზინოებს აკონტროლებს, არ აძლევს საშუალებას ნარკოტიკებით ამარაგებს ახალ გაზრდიაბა და იმედი მავანთა მარათონის მოლოდინიც გაქრება



*სანდრო ა.*

*უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე*

## გაუხმაურებელი ფაქტები